

შპს “სუპერი”

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება,
ინდივიდუალური მმართველობითი
ანგარიშგება და დამოუკიდებელი
აუდიტორის დასკვნა
31 დეკემბერი 2024 წ.

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....	1
ინდივიდუალური მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.....	4
ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.....	5
ინდივიდუალური მფლობელთა კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.....	6
ინდივიდუალური ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.....	7
1. ზოგადი ინფორმაცია	8
მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკისა და შეფასების მეთოდების შეჯამება	9
2. ახალი და შესწორებული სტანდარტები, რომლებიც გამოიცა და შევიდა ძალაში	13
3. შემოსავალი.....	14
4. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	15
5. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	15
6. რეალიზაციის ხარჯი	15
7. ფინანსური ხარჯი	15
8. კურსთაშორის სხვაობით გამოწვეული წმინდა ზარალი	15
9. მოგების გადასახადი	16
10. ძირითადი საშუალებები	17
11. აქტივის გამოყენების უფლება	18
12. ინვესტიცია შვილობილ საწარმოში.....	18
13. არამატერიალური აქტივები.....	19
14. სასაქონლო-მატერიალური მარაგები	19
15. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	19
16. გადახდილი ავანსები.....	20
17. ფული და ფულის ეკვივალენტები	20
18. საწესდებო კაპიტალი.....	20
19. მიღებული სესხები.....	20
20. საიჯარო ვალდებულებები.....	21
21. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	22
22. გადავადებული შემოსავალი.....	22
23. საგადასახადო ვალდებულებები	22
24. გაუთვალისწინებელი გარემოებები და პირობითი ვალდებულებები.....	23
25. სამართლიანი ღირებულება და რისკების მართვა	23
26. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	25
27. 2023 წლის ცვლილებები	27
28. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მომხდარი მოვლენები	29

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „სუპერი“ დამფუძნებლებსა და მენეჯმენტს მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „სუპერ“-ის ს/კ 205050905 (შემდგომში - 'კომპანია') თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებას, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას, ყველა მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნებთან და ამასთანავე, ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვანი გარემოება

ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ განმარტებითი შენიშვნების 27-ე შენიშვნაზე, სადაც განმარტებულია შესაძარისი პერიოდის კორექტირებები.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას. ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს და, საჭიროების შემთხვევაში, განმარტოს საქმიანობის უწყვეტობა და მასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია, ოპერაციების შეჩერება ან არ აქვს, ამის გარდა, სხვა არჩევანი. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების

მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული რწმუნება, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას.

უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად განიხილება, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობის ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას;
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავეგემოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ექვსი ქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღებას გავამახვილებთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვლით ჩვენს დასკვნას. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს კომპანია შეწყვიტოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებთ და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და ასევე - მოიცავს თუ არა იგი “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

მოსაზრება “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნებთან

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, თანხვედრაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით; და
- მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემულ აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

შპს „ანდრე აუდიტი“
სარეგისტრაციო ნომერი SARAS-F-934401

ზაზა მჭედლიშვილი
სარეგ. ნომერი SARAS-A-863342

თბილისი, საქართველო
08 ოქტომბერი 2025

შპს „სუპერი“
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ქართულ ლარში

ინდივიდუალური მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

მოგებისა და ზარალის ანგარიშგება	Note	31.12.2024	კორექტირებული 31.12.2023
ამონაგები	3	65 106 313	61 005 236
გახარჯული მასალების თვითღირებულება	4	(37 191 047)	(33 843 099)
საერთო მოგება		27 915 266	27 162 138
სხვა შემოსავალი		2 343 398	1 574 348
ზოგადი და ადმინისტრაციული დანახარჯები	5	(14 647 098)	(13 427 592)
კომერციული ხარჯები	6	(4 673 743)	(4 005 721)
სხვა ხარჯები		-	-
გადასახადები (ქონება, მიწა)		-	-
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან		10 937 823	11 303 173
არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯები), წმინდა	8	(786 065)	(1 169 717)
ფინანსური შემოსავალი		-	-
ფინანსური ხარჯი	7	(3 177 229)	(2 982 711)
მოგება დაბეგვრამდე		6 974 528	7 150 745
მოგების გადასახადი		(165 382)	(208 220)
პერიოდის მოგება		(165 382)	(208 220)
სხვა სრული შემოსავალი:		-	-
პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი		6 809 146	6 942 526

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება, მომზადებული 2024 წლის 13 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2025 წლის 8 ოქტომბერს

დირექტორის მინდობილი პირი

მაია კუნდუხაშვილი

შპს „სუპერი“
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ქართულ ლარში

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება		Note	31.12.2024	კორექტირებული 31.12.2023	31.12.2022
აქტივები					
გრძელვადიანი აქტივები					
ძირითადი საშუალებები	10	8 869 099	8 691 818	8 248 802	
აქტივის გამოყენების უფლება	11	7 400 462	9 380 148		
არამატერიალური აქტივები	13	72 967	81 074	90 083	
სულ გრძელვადიანი აქტივები		16 342 527	18 153 041	8 338 885	
მიმდინარე აქტივები					
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	14	34 155 459	25 424 602	20 889 438	
მოკლევადიანი სავაჭრო მოთხოვნები	15	1 345 828	1 360 361	856 024	
მომწოდებელზე გადახდილი ავანსები	16	841 987	679 888	1 907 455	
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	19	895 142	2 817 238	747 934	
სულ მიმდინარე აქტივები		37 238 417	30 282 089	24 400 851	
გადავადებული საგადასახადო აქტივი		-	-	-	
სულ აქტივები		53 580 944	48 435 129	32 739 736	
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები					
საკუთარი კაპიტალი					
საწესდებო კაპიტალი	18	(2 000)	(2 000)	(2 000)	
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		(25 233 399)	(21 631 904)	(15 963 951)	
სულ საკუთარი კაპიტალი		(25 235 399)	(21 633 904)	(15 965 951)	
გრძელვადიანი ვალდებულებები					
გრძელვადიანი სესხები	19	(3 244 177)	(4 447 574)	(1 553 900)	
საიჯარო ვალდებულებები-გრძელვადიანი	20	(4 850 192)	(7 205 786)		
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		(8 094 369)	(11 653 360)	(1 553 900)	
მოკლევადიანი ვალდებულებები					
მოკლევადიანი ვალდებულებები	21	(5 976 304)	(3 838 217)	(2 636 405)	
გადასახდელი გადასახადები	23	(1 373 403)	(1 425 539)	(1 640 137)	
გადავადებული შემოსავალი	24	(110 346)	(373 131)	(112 979)	
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი		(9 938 784)	(6 039 397)	(10 686 364)	
საიჯარო ვალდებულებები-მოკლევადიანი	20	(2 552 339)	(3 471 581)	-	
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები (დივიდენდი)		(300 000)	-	(144 000)	
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		(20 251 176)	(15 147 865)	(15 219 885)	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		(53 580 944)	(48 435 129)	(32 739 736)	

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება, მომზადებული 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2025 წლის 8 ოქტომბერს

დირექტორის მინდობილი პირი

მაია კუნდუხაშვილი

შპს „სუპერი“
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ქართულ ლარში

ინდივიდუალური მფლობელთა კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2023 წლის 1 იანვარი	(2 000)	-	(15 963 951)	(15 965 951)
მოგება წლის ბოლოს			(6 942 526)	(6 942 526)
სხვა სრული შემოსავალი		-		-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	(6 942 526)	(6 942 526)
სხვა			1 274 573	1 274 573
2023 წლის 31 დეკემბერი	(2 000)	-	(21 631 904)	(21 633 904)
მოგება წლის ბოლოს			(6 809 146)	(6 809 146)
სხვა სრული შემოსავალი		-		-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	(6 809 146)	(6 809 146)
სხვა			3 207 651	3 207 651
გადაფასების რეზერვი	-	-	-	-
2024 წლის 31 დეკემბერი	(2 000)	-	(25 233 399)	(25 235 399)

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება, მომზადებული 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2025 წლის 8 ოქტომბერს

დირექტორის მინდობილი პირი

მაია კუნდუხაშვილი

შპს „სუპერი“
 ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 ქართულ ლარში

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ფულადი ნაკადების ანგარიშგება	Note	31.12.2024	31.12.2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
ოპერაციებიდან წარმოქმნილი ფულადი სახსრები			
მყიდველებიდან მიღებული სახსრები		74 820 280	71 435 884
მომწოდებლებზე და თანამშრ. გადახდილი სახსრები		(60 011 204)	(51 727 169)
გადახდილი გადასახადები გაუთვალისწინებელი შემოსავლები(დაბრუნებული დღგ)		(13 417 430)	(12 760 958)
გაუთვალისწინებელი ხარჯები			
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		1 391 646	6 947 757
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა			
დი საშუალებების რეალიზაციით მიღებული სარგებელი მომწოდებელზე გადახდილი ავანსების (ზრდა) შემცირება		(1 035 963)	(945 093)
მიღებული პროცენტები		690	1 327
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		(1 035 274)	(943 766)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
შემოსულობანი გრძელვადიანი და მიმდინარე სესხებიდან		24 122 000	23 531 930
გადახდილი სესხები		(21 426 010)	(25 285 223)
გადახდილი სესხის პროცენტები		(2 062 959)	(1 889 441)
გადახდილი დივიდენდები		(2 643 616)	(143 885)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		(2 010 585)	(3 786 619)
ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო ოვერდრაფტის ზრდა (კლება)			
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ექვივალენტების საწყისი ბალანსი		2 817 237	747 934
გაცვლითი კურსის ეფექტისგან გამოწვეული ცვლილება		(267 883)	(148 070)
ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო ოვერდრაფტის საბოლოო ბალანსი		895 141	2 817 237

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება, მომზადებული 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2025 წლის 8 ოქტომბერს

დირექტორის მინდობილი პირი

მაია კუნდუხაშვილი

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „სუპერი“ (ს/ნ 205050905) რეგისტრირებულია ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს სასამართლოს მიერ. რეგისტრაციის #5/4-4271. საზოგადოება დაარსდა 2005 წლის 24 იანვარს. კომპანიის იურიდიული და ფაქტიური მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, კოსტავას ქ. #23. კომპანიას ამჟამად მართავს დირექტორი ბ-ნი ივანე ხაზარაძე. კომპანიას გაცხადებული საწესდებო კაპიტალი 31.12.2024 წლის მდგომარეობით არის 2000,0 ლარი. საზოგადოებას ჰყავს მხოლოდ 6 დამფუძნებელი – საქართველოს მოქალაქე 5 ფიზიკური პირი და ნიდერლანდების მოქალაქე 1 ფიზიკური პირი:

1. ივანე ხაზარაძე, 01008002602 – 51%
2. გიორგი ქიქოძე, 01017025450 – 8%
3. ეთერ ბუაჩიძე, 01030046186 – 13,6%
4. მაია გიორგობიანი, 01005001283 – 7,4%
5. ნინო ქიქოძე, 01652001017 – 8%
6. მორის რუთხრინგ, BDJL5RLJ8 /ნიდერლანდები/ - 12%

კომპანიის ძირითად საქმიანობას დღიდან დაარსებისა წარმოადგენს სხვადასხვა საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნივთებისა და სათამაშოების იმპორტი მათი საბითუმო და საცალო რეალიზაციის გზით. კომპანია ჩართულია გადასახადის გადამხდელთა ერთიან სახელმწიფო რეესტრში და მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო კოდი #205050905. საზოგადოება მინიჭებული აქვს დღგ-ს გადამხდელია 21.03.2005 წლიდან. კომპანიის ძირითადი საბანკო ანგარიში ეროვნულ ვალუტაში გახსნილია სს “თი-ბი-სი ბანკში

– ა/ა #GE28TB1100000108467517. კომპანიას საქართველოს მასშტაბით გააჩნია 12 სავაჭრო ობიექტი (მაღაზია), კოვიდპანდემიის ფაქტორის გათვალისწინებით კი 2020 წლის აპრილის თვიდან გახსნილია და მოქმედებს ონლაინ-მაღაზია. კომპანიაში დასაქმებულია 300-მდე თანამშრომელი. ბოლო უწყისით 330.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკისა და შეფასების მეთოდების შეჯამება **ანგარიშგების მომზადების საფუძველი**

წარმოდგენილი ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად მენეჯმენტმა გამოიყენა სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების, ფაქტებისა და გარემოებების საუკეთესო ცოდნა და სააღრიცხვო პოლიტიკა რომლის მიხედვითაც მომზადდა ფასს სტანდარტებთან შესაბამისობაში მყოფი ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, რომლებიც ძალაშია 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

კომპანია ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებას პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის საფუძველზე; სხვა მნიშვნელოვანი საბუღალტრო პოლიტიკა და გამოყენებული პრინციპები წარმოდგენილია ქვემოთ:

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ინდივიდუალური მოგება-ზარალის და ინდივიდუალური სხვა სრული შემოსავლის, ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის, ინდივიდუალური კაპიტალში ცვლილებების, ინდივიდუალური ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებებს და ინდივიდუალურ განმარტებით შენიშვნებს. შემოსავლები და ხარჯები, სხვა სრული შემოსავლის კომპონენტების გამოკლებით, აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. სხვა სრული შემოსავალი აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში და მოიცავს შემოსავლების და ხარჯების იმ პუნქტებს (რეკლასიფიცირების კორექტირებების ჩათვლით), რომლებიც არ არის აღიარებული მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც ეს დადგენილი ან დაშვებულია ფასს-ის თანახმად. რეკლასიფიცირების კორექტირება არის რაოდენობა, რომელიც მიმდინარე პერიოდში რეკლასიფიცირებულია მოგების ან ზარალის სახით და რომელიც მიმდინარე ან წინა პერიოდებში აღიარებული იყო სხვა სრულ შემოსავლებში. ორგანიზაციის მფლობელებთან განხორციელებული ტრანზაქციები აღიარებულია კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებაში.

კომპანია მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იყენებს ფუნქციის მიხედვით ხარჯების კლასიფიკაციას. მენეჯმენტის რწმენით, ეს მეთოდი ფინანსური ანგარიშგების მკითხველებისთვის უზრუნველყოფს უფრო სასარგებლო ინფორმაციას, რადგანაც იგი უკეთ ასახავს, თუ როგორ ხდება ოპერაციების მართვა ბიზნესის თვალსაზრისით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ინფორმაციის კლასიფიცირება ხდება მიმდინარე და

შპს „სუპერი“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ქართულ ლარში

გრძელვადიანობის საფუძველზე.

ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი („ლარი“), რომელიც კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს.

ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. საწყისი აღიარების შემდგომ, ძირითადი საშუალებების აღირიცხვა ხდება თვითღირებულებას მინუს დარიცხული ცვეთის და გაუფასურების ზარალის დაქვითვით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მისი მომსახურების ვადის განმავლობაში წრფივი მეთოდის გამოყენებით შემდეგნაირად:

შენი-ნაგებობა	20 წელი
მანქანა-დანადგარები	12 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	10 წელი
ავეჯი და სხვა ინვენტარი	10 წელი
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	20 წელი
სხვა ძირითადი საშუალებები	10 წელი

ნარჩენი ღირებულება არის ის საანგარიშო თანხა, რომელსაც კომპანია ახლა მიიღებდა აქტივის გასვლიდან, აქტივის გასვლასთან დაკავშირებული ხარჯების გამოკლებით, იმ შემთხვევაში თუ აქტივი იმ მდგომარეობაში იქნებოდა, რომელიც მოსალოდნელია მისი სასარგებლო გამოყენების ვადის ბოლოს.

აქტივების ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო გამოყენების ვადა ექვემდებარება გადახედვას და საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

აქტივის გამოყენების უფლება

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის მოიჯარე აქტივის გამოყენების უფლებას თვითღირებულებით აფასებს. აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულება მოიცავს:

- 1) საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას;
- 2) საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით;
- 3) მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს;
- 4) იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი, ან საიჯარო აქტივის აღსადგენად ისეთ მდგომარეობაში მოყვანის მიზნით, რაც მოითხოვება საიჯარო ხელშეკრულების პირობებით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ეს დანახარჯები გაწეულია მარაგის საწარმოებლად. მოიჯარეს ამგვარი დანახარჯების ვალდებულება წარმოეშობა ან იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან გარკვეულ პერიოდის განმავლობაში საიჯარო აქტივის გამოყენების შედეგად.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ მოიჯარე აქტივის გამოყენების უფლებას აფასებს თვითღირებულების მოდელის გამოყენებით, რომელსაც გამოაკლდება დაგროვილი ცვეთა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი და დაკორექტირდება საიჯარო ვალდებულების შეფასების თანხით.

კომპანია არ აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებასა და შესაბამის საიჯარო ვალდებულებას მოკლევადიანი იჯარებისათვის (12 თვე ან ნაკლები) და იმ იჯარებისათვის, რომელთა საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს. საიჯარო გადახდებზე გაწეული ხარჯები აღიარდება მოგება/(ზარალის) ანგარიშგებაში.

არამატერიალური აქტივები

საოპერაციო კომპიუტერული პროგრამები წარმოდგენილია თვითღირებულებასა და დაგროვილ ამორტიზაციას, ასევე, არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების რეზერვს შორის სხვაობით. ამორტიზაცია ხდება მოსალოდნელი სასარგებლო გამოყენების ათ წლამდე ვადის განმავლობაში, წრფივად წლიური 10%-იანი განაკვეთით. თუ არსებობს აქტივის ამორტიზაციის განაკვეთის, სასარგებლო მომსახურების ვადის ან ნარჩენი ღირებულების მნიშვნელოვანი ცვლილების ნიშანი, ახალი მოლოდინების ასახვის მიზნით, ამორტიზაციის დარიცხვის ცვლილება აისახება არარეტროსპექტულად.

სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხორციელდება თვითღირებულებასა და მის წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ხარჯის დასადგენად გამოიყენება საშუალო შეწონილი ფასის მეთოდი. სასაქონლო მატერიალური მარაგების თვითღირებულება მოიცავს: მისი შეძენის (ნასყიდობის) ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს, სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებსა და სხვა დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შეძენასთან.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის ხელმძღვანელობა აფასებს, ხომ არ არსებობს ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების გაუფასურების ინდიკაცია. თუ ამგვარი ნიშანი არსებობს, ხელმძღვანელობა აფასებს აქტივის (აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებად ღირებულებას და ადარებს მის ნარჩენ ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებად ღირებულება არის უფრო მცირე, აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

თუ არაფინანსური აქტივის, გარდა გუდვილისა, გაუფასურების ზარალი მცირდება, აქტივის (აქტივთა ჯგუფის) საბალანსო ღირებულება იზრდება ახალ მოსალოდნელ ანაზღაურებად ღირებულებამდე, მაგრამ არაუმეტეს იმ ღირებულებას, რომელიც ამ აქტივს ექნებოდა, რომ არ მომხდარიყო ამ აქტივისათვის (აქტივთა ჯგუფისათვის) გაუფასურების ზარალის აღიარება წინა წლებში. გაუფასურების ზარალის შემცირება აღიარდება შესაბამისი პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი შეფასება. ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულების პირველადი შეფასება ხდება გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით), თუ შეთანხმება თავისი არსით არ წარმოადგენს ფინანსურ ოპერაციას კომპანიისთვის. შეთანხმება ფინანსურ ოპერაციად მიიჩნევა:

- დაფინანსება ხდება ისეთი საპროცენტო განაკვეთით, რომელიც არ არის საბაზრო განაკვეთი;
- თუ გადახდა გადავადებულია ბიზნესის ჩვეულებრივი პირობებისგან განსხვავებული პირობებით.

თუ შეთანხმება ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, კომპანია ფინანსური აქტივს ან ფინანსური ვალდებულებას აფასებს მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია მსგავსი სავალს ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

შემდგომი შეფასება. სავალს ინსტრუმენტების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

სავალს ინსტრუმენტები რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, შემდგომი შეფასება ხდება გადასახდელი ან მისაღები ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით იმ შემთხვევის გარდა, როდესაც შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზირებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი

სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი

შპს „სუპერი“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ქართულ ლარში

აღიარებისას.

თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების გაუფასურება. კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, კომპანია დაუყოვნებლივ აღიარებს გაუფასურების ზარალს მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ფინანსური აქტივების გაუფასურების ობიექტური ფაქტორები ჩამოთვლილია ქვემოთ:

- დებიტორის მნიშვნელოვანი ფინანსური სიძნელები;
- ხელშეკრულების პირობების დარღვევა, მაგალითად, პროცენტის ან ძირი თანხის გადაუხდელობა, ან ვადაგადაცილება;
- კომპანია, დებიტორის ფინანსურ სიძნელებთან დაკავშირებული ეკონომიკური ან იურიდიული მიზეზების გამო, დებიტორს სთავაზობს ისეთ დათმობებს, რომლებსაც სხვა შემთხვევაში არ შესთავაზებდა;
- როდესაც მოსალოდნელი გახდება, რომ დებიტორთან დაკავშირებით დაიწყება გაკოტრების, ან სხვა სახის ფინანსური რეორგანიზაციის პროცესი; ან
- ობიექტური ნიშნების არსებობა, რომლებიც იმაზე მიუთითებს, რომ შემცირდა ფინანსური აქტივების ჯგუფთან დაკავშირებული მომავალი ფულადი ნაკადები მათი საწყისი აღიარების შემდეგ, თუმცა ამგვარი შემცირების ოდენობის განსაზღვრა ჯგუფში შემავალი ცალკეული ფინანსური აქტივისთვის ჯერჯერობით შეუძლებელია. ამგვარ ნიშნებს განეკუთვნება, მაგალითად ქვეყნის ან რეგიონის არახელსაყრელი ეკონომიკური პირობები, ან დარგში მომხდარი არახელსაყრელი ცვლილებები.

გაუფასურების მაჩვენებელი შესაძლოა იყოს სხვა ფაქტორებიც, რაც აღწერილი არ არის ამ სააღრიცხვო პოლიტიკაში მაგრამ გულისხმობს კომპანიისთვის უარყოფითი ეფექტის მქონე მნიშვნელოვან ცვლილებებს ტექნოლოგიურ, საბაზრო, ეკონომიკურ ან სამართლებრივ გარემოში, სადაც საწარმო ეწევა საქმიანობას.

აღიარების შეწყვეტა

ორგანიზაცია ფინანსურ ვალდებულებას (ან ფინანსური ვალდებულების ნაწილი) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან მხოლოდ იმ შემთხვევაში იღებს, როდესაც ის შესრულდება - ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა. არსებითად განსხვავებული პირობების მქონე სავალო ინსტრუმენტის გაცვლა არსებულ გამსესხებელსა და მსესხებელს შორის განხილულ უნდა იქნეს, როგორც თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების დაფარვა და ახალი ფინანსური ვალდებულების აღიარება. პირობები არსებითად განსხვავებულად მიიჩნევა, თუ თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით განსაზღვრული ახალი პირობების შესაბამისი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება, ნებისმიერი ნეტო გადახდილი საზღაურის (გადახდილ საზღაურს მინუს მიღებული საზღაური) ჩათვლით, სულ მცირე 10 პროცენტით განსხვავდება თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების დარჩენილი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულებისაგან. თუ სავალო ინსტრუმენტების გაცვლა ან პირობების შეცვლა განხილვება როგორც გაუქმება, ნებისმიერი წარმოშობილი დანახარჯები თუ საზღაური უნდა აღიარდეს, როგორც გაუქმების შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი. თუ სავალო ინსტრუმენტების გაცვლა ან პირობების შეცვლა არ განხილვება, როგორც გაუქმება, ნებისმიერი წარმოქმნილი დანახარჯები თუ საზღაური აკორექტირებს ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და ამორტიზდება მოდიფიცირებული ვალდებულების დარჩენილი ვადის განმავლობაში

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები არის ფინანსური აქტივები, რომლებიც ადვილად კონვერტირდება გარკვეული რაოდენობის ფულის სანაცვლოდ და ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს სალაროსა და საბანკო ანგარიშებზე არსებული ფულადი სახსრების ნაშთებს.

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი აღიარდება კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებაში და განისაზღვრება მფლობელის გადაწყვეტილებით. იმ შემთხვევაში როდესაც კაპიტალში შეტანილია არაფულადი შენატანი სხვაობა მფლობელის მეორ დადგენილ კაპიტალის ოდენობასა და შეტანილი აქტივების სამართლიან ღირებულებას შორის აღიარდება როგორც დამატებით შეტანილი კაპიტალი. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება იმ პერიოდისთვის, რომელშიც გამოცხადდა.

დივიდენდები

დივიდენდები აკლდება გაუნაწილებელი მოგების ანგარიშს იმ პერიოდში, რომელშიც ისინი ცხადდება. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ გამოცხადებული ნებისმიერი დივიდენდი, აისახება საანგარიშგებო თარიღის შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნაში. გასაცემი დივიდენდების ვალდებულება აღიარდება იმ

საანგარიშგებო წელს, როდესაც ხდება მათი გამოცხადება.

საიჯარო ვალდებულებები

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, მოიჯარე საიჯარო ვალდებულებას აფასებს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება ხორციელდება იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა ადვილად შეიძლება. თუ ამ განაკვეთის ადვილად განსაზღვრა შეუძლებელია, მოიჯარე იყენებს მოიჯარის ზღვრულ სასესხო განაკვეთს.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, საიჯარო გადახდები, რომლებიც გაითვალისწინება საიჯარო ვალდებულების შეფასებაში, მოიცავს იჯარის ვადის განმავლობაში საიჯარო აქტივის გამოყენების უფლებასთან დაკავშირებულ შემდეგი სახის გადახდებს, რომლებიც განხორციელებული არ არის იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის: 1) ფიქსირებულ გადახდებს, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით; 2) ინდექსზე ან განაკვეთზე დამოკიდებულ ცვლად საიჯარო გადახდებს, რომლებიც თავდაპირველად შეფასებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის ინდექსის, ან განაკვეთის გამოყენებით; 3) თანხებს, რომლებსაც მოსალოდნელია, რომ მოიჯარე გადაიხდის ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით; 4) შესყიდვის არჩევანის უფლების ფასს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე გამოიყენებს ამ უფლებას; 5) იჯარის ვადამდე შეწყვეტისთვის ჯარიმების გადახდას, თუ იჯარის ვადა ასახავს მოიჯარის მიერ იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლების გამოყენებას.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ მოიჯარე საიჯარო ვალდებულებას აფასებს შემდეგნაირად: 1) ზრდის საბალანსო ღირებულებას საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული პროცენტის ასახვის მიზნით; 2) ამცირებს საბალანსო ღირებულებას განხორციელებული საიჯარო გადახდების ასახვის მიზნით; 3) ხელახლა აფასებს საბალანსო ღირებულებას ხელახალი შეფასების შედეგის, ან იჯარის მოდიფიკაციების, ან გადასინჯული (შესწორებული) არსებითად ფიქსირებული საიჯარო გადახდების ასახვის მიზნით. როდესაც ხდება საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასება, კორექტირდება აქტივის გამოყენების უფლება, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ აქტივის გამოყენების უფლება სრულადაა ჩამოწერილი, სხვაობა აისახება მოგება/(ზარალის) ანგარიშგებაში.

მიღებული სესხები

სესხები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი აღიარდება მოგება-ზარალში იმ პერიოდში, როდესაც გაწეულ იქნა აღნიშნული დანახარჯი.

ანარიცხები და პირობითი აქტივები/ვალდებულებები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ როდესაც, კომპანიას წარსული მოვლენების შედეგად საღირცხვო პერიოდისათვის აქვს ვალდებულება. შესაძლოა კომპანიის მიმართ გაჩნდეს მოთხოვნა, რომ გადაიტანოს თავისი ეკონომიკური სარგებელი და ვალდებულების მოცულობა შესაძლოა შეფასდეს საიმედოდ. ანარიცხები იზომება პრე-საგადასახადო განაკვეთის გამოყენებით ვალდებულების შესასრულებლად საჭირო მოცულობის დღევანდელი ღირებულებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებებს და კონკრეტული ვალდებულების რისკებს. ანარიცხების ზრდა, დროის გასვლის გამო, აღიარდება როგორც საპროცენტო ხარჯი. ანარიცხების აღიარება არ ხდება მომავალ საოპერაციო დანაკარგებზე.

შემოსავლის აღიარება

(ა) შემოსავალი ძირითადი საქმიანობიდან

კომპანია შემოსავალს პროდუქციის გაყიდვიდან და მომსახურების გაწევიდან აღიარებს მაშინ, როდესაც მისი შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება; საანგარიშგებო თარიღისათვის ტრანზაქციის შესრულებული სტადიის შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; და შესაძლებელია, საიმედოდ განისაზღვროს ტრანზაქციის დასასრულებლად გასაწევი ხარჯები. შემოსავლის განსაზღვრა ხდება საქონლის ან მომსახურების გაყიდვიდან მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, შემოსავლები წარმოდგენილია ფასდაკლებებისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დამატებული ღირებულების გადასახადის გამოკლებით.

შპს „სუპერი“
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ქართულ ლარში

(ბ) საპროცენტო შემოსავლები საბანკო დეპოზიტებიდან

საპროცენტო შემოსავალი საბანკო დეპოზიტებიდან აღიარდება დარიცხვის მეთოდის საფუძველზე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

საოპერაციო ხარჯები

(ა) თანამშრომელთა სახელფასო და სხვა სარგებელი - დარიცხული ხელფასის, ბონუსების და არაფულადი სარგებლის (დაზღვევა) დარიცხვა ხდება იმ საანგარიშგებო წელს, როდესაც თანამშრომლების მიერ გაიწევა შესაბამისი მომსახურება.

(ბ) იჯარა - საოპერაციო იჯარის გადასახდელები აღიარდება წრფივი მეთოდით, კონტრაქტით გათვალისწინებული იჯარის ვადის განმავლობაში

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში ფასდება და აღირიცხება სამუშაო ვალუტაში გარიგების დღეს მოქმედი გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოხატული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები ფასდება კომპანიის სამუშაო ვალუტაში ანგარიშგების თარიღის ოფიციალური გაცვლითი კურსით. კურსთა შორის სხვაობა აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშში. გაცვლითი კურსები წარმოდგენილია ქვემოთ:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
გაცვლითი კურსი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2.8068	2.9306
გაცვლითი კურსი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2.6894	2.9753
გაცვლითი კურსი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2.7020	2.8844

მოგების გადასახადი

კომპანია მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 981-ე მუხლითა და 309-ე მუხლის 99-ე და 103-ე ნაწილებით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა). მოგების გადასახადის ვალდებულება გამოითვლება როგორც 15/85 განაწილებული დივიდენდის თანხიდან.

საგადასახადო დაბეგვრის სისტემის სპეციფიურობიდან გამომდინარე საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება.

2. ახალი და შესწორებული სტანდარტები, რომლებიც გამოიცა და შევიდა ძალაში

ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტები, რომლებიც ახლახან გამოიცა ან შეიცვალა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული, არ იქნა მიღებული კომპანიის მიერ 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის. კომპანიას ჯერ არ შეუფასებია ამ ახალი ან შეცვლილი ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების გავლენა.

ახალი და შესწორებული აღრიცხვის სტანდარტები, რომელთა მიღება არ არის სავალდებულო არ იქნება დანერგილი კომპანიის მიერ.

ცვლილება ფასს 16-ში – იჯარით რეალიზაცია და უკუიჯარა

ეს ცვლილებები მოიცავს რეალიზაციის და უკუიჯარის ტრანზაქციების მოთხოვნებს ფასს 16-ში, რათა განმარტოს, თუ როგორ აღრიცხავს კომპანია იჯარით რეალიზაციას და უკუიჯარას, ტრანზაქციის თარიღის შემდეგ. იჯარით გაყიდვისა და უკუიჯარის ტრანზაქციები, სადაც ზოგიერთი ან ყველა საიჯარო გადასახადი არის ცვლადი საიჯარო გადასახადები, რომლებიც არ არის დამოკიდებული ინდექსზე ან განაკვეთზე, დიდი ალბათობით ეს ცვლილებები მსგავსი ტიპის ტრანზაქციებზე გავლენას მოახდენს.

ცვლილება ბასს 1-ში – გრძელვადიანი ვალდებულებები კოვენანტებით

ეს ცვლილებები განმარტავს თუ რა გავლენას ახდენს ვალდებულების კლასიფიკაციაზე ის პირობები, რომლებიც კომპანიამ უნდა შეასრულოს საანგარიშო პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში. ცვლილებები ასევე მიზნად ისახავს კომპანიის მიერ მოცემული პირობების დაქვემდებარებულ ვალდებულებებთან დაკავშირებული ინფორმაციის გაუმჯობესებას.

ცვლილება ბასს 7-სა და ფასს 7-ში - მიმწოდებლის ფინანსები

ეს ცვლილებები მოითხოვს რომ გაუმჯობესდეს მიმწოდებლის ფინანსური შეთანხმებების გამჭვირვალობა და მათი გავლენა კომპანიის ვალდებულებებზე, ფულადი სახსრების ნაკადებზე და ლიკვიდურობის რისკის ზემოქმედებაზე. გამჟღავნების მოთხოვნები არის IASB-ის პასუხი ინვესტორების შემფოთებაზე, რომ ზოგიერთი კომპანიის მიმწოდებლის ფინანსური გარიგება არ არის საკმარისად თვალსაჩინო, რაც ხელს უშლის ინვესტორების ანალიზს.

ცვლილებები ბასს 21-ში - შეზღუდული კონვერტირებადობა

ეს ცვლილებები გავლენას ახდენს კომპანიაზე, როდესაც მას აქვს ტრანზაქცია ან ოპერაცია ისეთ უცხოურ ვალუტაში, რომელიც არ არის კონვერტირებადი სხვა ვალუტაში შეფასების თარიღისთვის, განსაზღვრული მიზნისთვის. ვალუტა კონვერტირებადია, როდესაც არსებობს სხვა ვალუტის მოპოვების შესაძლებლობა (ჩვეულებრივი ადმინისტრაციული დაგვიანებით) და ტრანზაქცია განხორციელდება ბაზრის ან გაცვლის მექანიზმის მეშვეობით, რომელიც ქმნის აღსრულებად უფლებებსა და ვალდებულებებს.

კომპანია მოელოს, რომ ამ ახალი ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღებას, არ ექნება არსებით გავლენას მის ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციების შედეგებზე ან ფულადი სახსრების ნაკადებზე.

3. შემოსავალი

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საქონლის საცალო რეალიზაცია, შესაბამისად საქონელი იყიდება მომხმარებლებზე მაღაზიებში „გაყიდვის წერტილში“. კომპანიის მიერ შესასრულებელი ვალდებულება სრულდება საქონლის მომხმარებლებზე „გაყიდვების წერტილში“ გადაცემის მომენტში ფულადი სახსრების მიღების სანაცვლოდ.

ზოგიერთი მომწოდებლისგან ანაზღაურება ხდება შესრულებული ვალდებულებების მიხედვით.

ამონაგები	2024	2023
საქონლის გაყიდვა	65 106 313	61 005 236
სულ	65 106 313	61 005 236

4. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	2024	2023
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	(37 191 047)	(33 843 099)
სულ	(37 191 047)	(33 843 099)

შპს „სუპერი“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ქართულ ლარში

5. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

	2024	2023
თანამშრომელზე გაწეული დანახარჯები	(10 071 485)	(9 357 377)
ცვეთა და ამორტიზაცია	(3 984 789)	(3 647 046)
საკონსულტაციო და პროფესიული მომსახურების ხაჯი		
რეკლამა და გაყიდვების სტიმულირება	(57 831)	(111 572)
კომუნალური ხარჯები		
სხვა ხარჯები	(532 993)	(311 597)
სულ	(14 647 098)	(13 427 592)

საიჯარო ქირა მოიცავს ავტომობილებისა და საოფისე ფართის იჯარას, რომელთა ხელშეკრულებები არის მოკლევადიანი, შესაბამისად კომპანია განიხილავს აღნიშნულ ხელშეკრულებებს როგორც საოპერაციო იჯარას.

6. კომერციული ხარჯი

	2024	2023
ტექნიკურ-სამეურნეო მომსახურებისა და საოფისე ინვენტარის ხარჯები	(526 657)	(429 016)
საკონსულტაციო და პროფესიული მომსახურების ხაჯი	(37 914)	(36 011)
რეკლამა და გაყიდვების სტიმულირება	(989 256)	(758 565)
კომუნალური ხარჯები	(405 913)	(431 823)
მომსახურების საკომისიო ხარჯები	(28 850)	(40 535)
სხვა ხარჯები	(2 685 154)	(2 309 771)
სულ	(4 673 743)	(4 005 721)

7. ფინანსური ხარჯი

ფინანსური დანახარჯები	2024	2023
საპროცენტო ხარჯი	(2 058 405)	(1 927 871)
საიჯარო ვალდებულების საპროცენტო ხარჯი	(1 118 824)	(1 054 839)
სულ ფინანსური დანახარჯები	(3 177 229)	(2 982 711)

8. არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯები), წმინდა

	2024	2023
კურსთაშორის სხვაობით გამოწვეული წმინდა ზარალი	(238 949)	(284 441)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	-	-
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	(547 116)	(885 275)
სულ	(786 065)	(1 169 717)

9. მოგების გადასახადი

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა საქართველოს საგადასახადო კოდექსში მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლებიც ძირითადად ეხება მოგების გადასახადით დაბეგვრას. სხვა დაბეგვრის რეჟიმებთან ერთად, ცვლილებებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი არის ის, რომ დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. საგადასახადო სისტემის ასეთი ცვლილების შემდეგ, საქართველოში

რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება.

პირობითი მოგების გადასახადის ვალდებულება რომელიც შეიძლება წარმოიშვას მომავალ პერიოდში მოგების განაწილების შედეგად, არ არის აღიარებული ფინანსურ ანგარიშგებაში.

მოგების გადასახადის ესტონური მოდელის არსი მდგომარეობს იმაში, რომ გადავადდოს მოგების გადასახადის გადახდის დრო წმინდა მოგების განაწილებამდე. ეს მოდელი ზრდის თანხების ხელმისაწვდომობას და ხელს უწყობს გამომუშავებული თანხის რეინვესტირებას კომპანიებში. მოგების გადასახადი განაკვეთი არის 15% (ტექნიკურად 15%/85% გამოყენებული იქნება დაბეგვრის ობიექტად).

მოგების გადასახადის ახალი მოდელის თანახმად მოგების გადასახადით დასაბეგრი ოპერაციებია:

- გადახდილი დივიდენდი
- სხვაობა საკონტრაქტო ფასსა და საბაზრო ფასს შორის
- ხარჯები, რომლებიც არაა დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან
- გადახდები, რომლებიც არაა დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან
- საჩუქრები და უფასო მიწოდება
- წარმომადგენლობითი ხარჯი, რომელიც აღემატება ლიმიტს

საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშო პერიოდისთვის, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

მოგების გადასახადის გარდა გადასახადები აღიარდება მაშინ, როცა ადგილი აქვს დასაბეგრ მოვლენას. დასაბეგრი მოვლენა არის მოვლენა რომელიც წარმოშობს გადასახადის გადახდის ვალდებულებას. გადასახადები დაანგარიშება საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად.

10. ძირითადი საშუალებები

	მიწის ნაკვეთები	შენობები	მანქანა- დანადგარები	ავთო და ოფისის აქტუვები	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
31 დეკემბერი 2023	880 378	6 548 016	1 051 496	2 316 808	327 284	1 826 417	12 950 399
შემოსვლა		161 416	381 808	252 766		228 874	1 024 863
გადაფასება							-
გასვლა			(2 541)	(2 034)	(26 647)	(327 213)	(358 434)
31 დეკემბერი 2024	880 378	6 709 432	1 430 763	2 567 540	300 637	1 728 078	13 616 828
ცვეთა და გაუფასურება							
31 დეკემბერი 2023		(1 956 189)	(85 552)	(1 668 889)	(170 538)	(377 413)	(4 258 581)
პერიოდის ცვეთა		(260 731)	(27 998)	(189 598)	(14 745)	(70 233)	(563 306)
გაუფასურება							-
გასვლა				2 802	17 356	53 999	74 157
31 დეკემბერი 2024	-	(2 216 919)	(113 549)	(1 855 685)	(167 927)	(393 647)	(4 747 729)
წმინდა საბალანსო ღირებულება							
31 დეკემბერი 2023	880 378	4 591 827	965 945	647 918	156 746	1 449 004	8 691 818
31 დეკემბერი 2024	880 378	4 492 513	1 317 214	711 854	132 709	1 334 431	8 869 099

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიას არ გააჩნია სრულად გაუფასურებული ძირითადი საშუალებები.

საბანკო სესხების უზრუნველსაყოფად კომპანიის არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, სავაჭრო მარაგები, ძირითადი საშუალებები და კომპანიის წილებია გამოყენებული.

შპს „სუპერი“
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ქართულ ლარში

11. აქტივის გამოყენების უფლება	
საბალანსო ღირებულება	მალაზიის იჯარა
	17 315 821
შემენა	3 046 443
მოდIFIკაცია	-
გასვლა	-
2023 წლის 31 დეკემბერი	20 362 263
შემენა	2 506 104
მოდIFIკაცია	-
გასვლა	(1 072 414)
2024 წლის 31 დეკემბერი	21 795 953
ცვეთა	
2022 წლის 31 დეკემბერი	(7 827 986)
ცვეთა წლის მანძილზე	(3 154 129)
ჩამოწერილი/გაყიდული აქტივის ცვეთა	-
2023 წლის 31 დეკემბერი	(10 982 115)
ცვეთა წლის მანძილზე	(3 413 376)
ჩამოწერილი/გაყიდული აქტივის ცვეთა	-
2024 წლის 31 დეკემბერი	(14 395 491)
წმინდა საბალანსო ღირებულება	
2023 წლის 31 დეკემბერი	9 380 148
2024 წლის 31 დეკემბერი	7 400 462

კომპანიამ ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან გააფორმა საიჯარო ხელშეკრულებები კომერციული ფართების დროებით სარგებლობის მიზნებისთვის. ხელშეკრულების ვადად განსაზღვრულია 10-დან 15 წლამდე პერიოდი.

12. ინვესტიცია შვილობილ საწარმოში

საანგარიშგებო პერიოდში კომპანიას არ გააჩნია შვილობილი საწარმო და შესაბამისად, ინვესტიცია შვილობილ საწარმოში არ განხორციელებულა.

შესაბამისად, მოცემული მუხლი ფინანსურ ანგარიშგებაში მხოლოდ ინფორმაციული მიზნებით არის წარმოდგენილი და არ შეიცავს რაოდენობრივ მაჩვენებლებს.

13. არამატერიალური აქტივები

	პროგრამული უზრუნველყოფა	სულ
საბალანსო ღირებულება	145 731	145 731
შემენა	-	-
გასვლა	-	-
2023 წლის 31 დეკემბერი	145 731	145 731
შემენა	-	-
გასვლა	-	-
2024 წლის 31 დეკემბერი	145 731	145 731
ცვეთა	-	-
2022 წლის 31 დეკემბერი	(55 648)	(55 648)
ცვეთა წლის მანძილზე	(9 008)	(9 008)
ჩამოწერილი/გაყიდული აქტივის ცვეთა	-	-
2023 წლის 31 დეკემბერი	(64 657)	(64 657)
ცვეთა წლის მანძილზე	(8 107)	(8 107)
ჩამოწერილი/გაყიდული აქტივის ცვეთა	-	-
2024 წლის 31 დეკემბერი	(72 764)	(72 764)
წმინდა საბალანსო ღირებულება	-	-
2023 წლის 31 დეკემბერი	81 074	81 074
2024 წლის 31 დეკემბერი	72 967	72 967

არამატერიალური აქტივი წარმოადგენს კომპანიის მიერ დანერგილ საბუღალტრო პროგრამას, რომლის სასარგებლო მომსახურების ვადად განსაზღვრულია 10 წელი.

14. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

	2024	2023
ნედლეული და მასალები	34 173 986	25 424 602
სულ	34 173 986	25 424 602

15. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2024	2023
სავაჭრო მოთხოვნები - ნეტო	1 327 850	1 360 346
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	17 979	15
სულ	1 345 828	1 360 361

კომერციული მოთხოვნები წარმოადგენს მომწოდებლებისთვის მარკეტინგული მომსახურების გაწევით მიღებული შემოსავლების მოთხოვნებს.

16. გადახდილი ავანსები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სხვა წინასწარ გაწეული ხარჯები	841 987	679 888
სულ გადახდილი ავანსები	841 987	679 888

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით სხვა წინასწარ გაწეული ხარჯები მოიცავს ძირითადი საშუალებების შესაძენად მომწოდებლებისთვის გადახდილ ავანსებს.

17. ფული და ფულის ეკვივალენტები

	2024	2023
ნაღდი ფული სალაროში	103 708	193 612
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	784 616	2 350 262
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	6 817	273 363
სულ	895 142	2 817 238

ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში წარმოადგენს მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებულ ფულად სახსრებს. ფული გზაში წარმოადგენს ანგარიშს, რომლის მეშვეობითაც ფულის შეტანა ხდება საბანკო ანგარიშებზე. 2024 წლის ბოლოს კომპანიის ტერმინალით ნავაჭრი თანხა საბანკო ანგარიშებზე აისახა 2025 წლის იანვარში.

18. საწესდებო კაპიტალი

კომპანიის გამოცხადებული საწესდებო კაპიტალი შეადგენს 2 000 ლარი, საიდანაც საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში დამფუძნებლებმა კომპანიის საწესდებო კაპიტალში შეიტანეს ფულად სახსრები, რომელიც წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

	31 დეკემბერი 2024 ლარში	31 დეკემბერი 2023 სულ
საწესდებო კაპიტალი	2 000	2 000
სულ საწესდებო კაპიტალი	2 000	2 000

	31 დეკემბერი 2023 ლარში	31 დეკემბერი 2023 სულ
საწესდებო კაპიტალი	2 000	2 000
სულ საწესდებო კაპიტალი	2 000	2 000

19. მიღებული სესხები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
მოკლევადიანი სესხები	(9 938 784)	(6 039 397)
გრძელვადიანი სესხები	(3 244 177)	(4 447 574)
სულ მიღებული სესხები	(13 182 961)	(10 486 971)

შპს „სუპერი“
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ქართულ ლარში

ხელშეკრულება	პროდუქტი	დაწყების	დასრულებ	საპროცენ	ვალუტა	მოკლევადი	გრძელვადიანი	სულ
		თარიღი	ის თარიღი	განაკვეთი		ნაწილი	ნაწილი	
#33.0286478.001-055	ვადიანი სესხი	11.04.2018	08.09.2025	12.0%	ლარი	-	5 035 000	5 035 000
#33.0286478.001-099	საკრედიტო ხაზი	14.06.2023	16.06.2025	12.8%	ლარი	2 000 000	-	2 000 000
#33.0286478.001-102	ვადიანი სესხი	29.08.2023	01.09.2028	12.8%	ლარი	-	3 000 000	3 000 000
#33.0286478.001-104	საკრედიტო ხაზი	26.04.2024	25.04.2025	12.5%	ლარი	3 000 000	-	3 000 000
#33.0286478.001-105	საკრედიტო ხაზი	17.05.2024	19.05.2025	12.5%	ლარი	1 000 000	-	1 000 000
მიღებული სესხები						6 000 000	8 035 000	14 035 000
სულ სესხები						6 000 000	8 035 000	14 035 000

საკრედიტო ხაზის შემთხვევაში, ხელშეკრულების პირობების მიხედვით, საპროცენტო ვალდებულება და სესხის ძირის თანხის გადახდა უნდა მოხდეს ყოველთვიურად, ხოლო ვადიანი სესხის შემთხვევაში საპროცენტო ვალდებულების დაფარვა უნდა მოხდეს ყოველთვიურად და სესხის ძირის ხელშეკრულებაზე ხელმოწერიდან 18 თვის განმავლობაში, საშუალო პერიოდის გასვლის შემდეგ ძირი თანხა და საპროცენტო ვალდებულება გადახდილ უნდა იქნას ყოველთვიურად თანაბარწილებად.

საპროცენტო ვალდებულება	
ნაშთი წლის დასაწყისში	-
დარიცხული პროცენტი	2 058 405
დაფარული პროცენტი	(2 058 405)
ნაშთი წლის ბოლოს	-

გრძელვადიანი სესხის ძირი	
ნაშთი წლის დასაწყისში	(4 447 574)
სესხის დამატება	-
სესხის დაფარვა	(1 203 397)
ნაშთი წლის ბოლოს	(3 244 177)

შპს „სუპერი“
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ქართულ ლარში

20. საიჯარო ვალდებულებები

საიჯარო ვალდებულება

ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერი	10 772 731
დამატება	3 046 443
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებაზე	1 054 839
გადახდა	(4 196 647)
კურსთაშორის სხვაობის ეფექტი, ზარალი/(მოგება)	-
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერი	10 677 367
დამატება	2 506 104
მოდიფიკაცია	-
გასვლა	(1 072 414)
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებაზე	1 118 824
გადახდა	(5 827 350)
კურსთაშორის სხვაობის ეფექტი, ზარალი/(მოგება)	-
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერი	7 402 531

იჯარის ხელშეკრულებებში არ არის ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთი. კომპანიამ ზღვრულ სასესხო განაკვეთად გამოიყენა საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ გამოცხადებული სტატისტიკური ინფორმაცია.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომავალი მინიმალური საიჯარო გადასახდელები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

21. მოკლევანიანი ვალდებულებები

	2024	2023
სავაჭრო ვალდებულებები	(5 278 979)	(3 271 085)
სახელფასო ვალდებულება	(697 325)	(567 132)
სულ	(5 976 304)	(3 838 217)

სხვა სავაჭრო ვალდებულებები მოიცავს ძირითადი საშუალებების, სამეურნო და საკანცელარიო ინვენტარის მოწოდებიდან წარმოქმნილ ვალდებულებებს.

22. გადავადებული შემოსავალი

გადავადებული შემოსავალი წარმოადგენს კომპანიის ვალდებულებას მიაწოდოს მომხმარებელს საქონელი ან მომსახურება მომავალ პერიოდში იმ საწინააღმდეგოდ, რაც უკვე მიღებულია ან დარიცხულია საანგარიშგებო თარიღისთვის.

კომპანიაში გადავადებული შემოსავალი ძირითადად წარმოიშობა მომხმარებელთა სასაჩუქრე ბარათების შეძენის ფარგლებში. მისი გამოყენება შესაძლებელია კომპანიის სავაჭრო ქსელში არსებული საქონლის შესაძენად.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გადავადებული შემოსავალი ასახავს მომხმარებლების მიერ დაუხარჯავი სასაჩუქრე ბარათების ფულად ღირებულებას. აღნიშნული თანხა აღიარებულია როგორც ვალდებულება ბალანსში და შემოსავალში გადაიტანება მხოლოდ იმ მომენტში, როდესაც მოხდება მათი გამოყენება.

აღრიცხვა ხორციელდება IFRS 15 „შემოსავალი მომხმარებლებთან დადებული კონტრაქტებიდან“ სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს შემოსავლის აღიარების დროულობასა და შესაბამისობას კომპანიის მიერ შესრულებულ ვალდებულებებთან.

23. საგადასახადო ვალდებულებები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით, გადასახადების გადახდა ხორციელდება ხაზინის ერთიანი ანგარიშიდან გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიამ საგადასახადო ვალდებულებები 1 373 403 ლარის ოდენობით წარმოადგინა. საგადასახადო ვალდებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ძირითადად შედგება დარიცხული საშემოსავლო და დამატებული ღირებულების გადასახადების ვალდებულებისგან.

24. გაუთვალისწინებელი გარემოებები და პირობითი ვალდებულებები

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ აქვს პირობითი ვალდებულებები.

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ აქვს მიმდინარე სასამართლო დავა, რომელიც საჭიროებს ფინანსურ ანგარიშგებაში გაშლას.

25. სამართლიანი ღირებულება და რისკების მართვა

(ა) ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულების შეფასების მიზანია მაქსიმალურად ზუსტი ფასის განსაზღვრა, რომელიც მიღებული იქნება აქტივის გაყიდვისგან ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადაცემისთვის ნორმალური ოპერაციების ფარგლებში ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღისას, თუმცა, შეფასების სუბიექტურობიდან გამომდინარე, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იყოს ინტერპრეტირებული, როგორც შესრულებადი აქტივის დაუყოვნებლივ გაყიდვისას ან ვალდებულებების გადაცემისას, კომპანიამ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება განსაზღვრა შეფასების მეთოდის გამოყენებით, შეფასების მეთოდის მიზანია სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა, რომელიც ასახავს ფასს, რომელიც მიღებული იქნება აქტივის რეალიზაციიდან ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადასაცემად ბაზრის მონაწილეებს შორის ნორმალური ოპერაციების ფარგლებში შეფასების თარიღით, შეფასების გამოყენებული მეთოდია დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელი, ყველა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების რეალური ღირებულების გამოთვლა ხდება მომავალი ძირითადი და საპროცენტო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების საფუძველზე, დისკონტირებული ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები არ განსხვავდება მათი რეალური ღირებულებებისგან.

(ბ) ფინანსური რისკის მართვა

ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან გამომდინარე, კომპანიაზე ვრცელდება შემდეგი სახის რისკები:

- საკრედიტო რისკი: ალბათობა, რომ დებიტორი ვერ შეძლებს გადაიხადოს მთლიანი თანხა ან მისი ნაწილი, ან ვერ შეძლებს დავალიანების დროულად დაფარვას, რაც გამოიწვევს ზარალს კომპანიისთვის;
- ლიკვიდურობის რისკი: რისკი, რომ კომპანიას არ ექნება, ან ვერ ამოიღებს ნაღდ ფულს საჭირო დროს და ამის შედეგად აღმოჩნდება სირთულეების წინაშე ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულების თვალსაზრისით,;
- საბაზრო რისკი: რისკი, რომ საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შეიცვლება ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები სამართლიანი ღირებულების თვალსაზრისით, ძირითადად, კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკის ორ კომპონენტს:
 - საპროცენტო რისკი;
 - სავალუტო რისკი,

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ნაშთები კატეგორიების მიხედვით:

ფული და ფულის ეკვივალენტები	895 142	2 817 238
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1 345 828	1 360 361
სულ ფინანსური აქტივები	2 240 970	4 177 598
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(5 976 304)	(3 838 217)
მიღებული სესხები	(13 182 961)	(10 486 971)
საიჯარო ვალდებულებები	(7 402 531)	(10 677 367)
სულ ფინანსური ვალდებულებები	(24 320 826)	(20 824 957)

(i) რისკების მართვის სტრუქტურა

კომპანიის მენეჯმენტს სრული პასუხისმგებლობა ეკისრება კომპანიის რისკების მართვის სისტემის დაწესებასა და ზედამხედველობაზე. კომპანიის რისკის მართვის პოლიტიკა განისაზღვრება კომპანიაზე რისკების გავლენის განსაზღვრისა და ანალიზის მიზნით, რისკის შესაბამისი ფარგლებისა და საკონტროლო მექანიზმების დასადგენად, ასევე რისკისა და მისი ფარგლების მონიტორინგისათვის, რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად გადაიხედება მიმდინარე საბაზრო მდგომარეობისა და კომპანიის საქმიანობაში ცვლილებების გასათვალისწინებლად, რისკების მართვა ხორციელდება მენეჯმენტის მიერ კომპანიის საოპერაციო ერთეულებთან ერთად, კომპანიის საოპერაციო სიმარტივიდან გამომდინარე, არ არსებობს წერილობითი პოლიტიკა საერთო რისკის მართვის შესახებ.

(ii) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის კომპანიის ფინანსური ზარალის რისკი, ერთი მხარის მიერ მეორე მხარის მიმართ ფინანსური ვალდებულებების არ შესრულების შემთხვევაში. კომპანიის მაქსიმალური ზემოქმედება საკრედიტო რისკზე, ძირითადად, აისახება ბალანსზე არსებული ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებებში.

(iii) მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება

ფინანსური აქტივების გაუფასურების ობიექტური ფაქტორები ჩამოთვლილია ქვემოთ:

- დებიტორის მნიშვნელოვანი ფინანსური სიმძლევები;
- ხელშეკრულების პირობების დარღვევა, მაგალითად, პროცენტის ან ძირი თანხის გადაუხდელობა, ან ვადაგადაცილება;

- კომპანია, დებიტორის ფინანსურ სიძნელეებთან დაკავშირებული ეკონომიკური ან იურიდიული მიზეზების გამო, დებიტორს სთავაზობს ისეთ დათმობებს, რომლებსაც სხვა შემთხვევაში არ შესთავაზებდა;
- როდესაც მოსალოდნელი გახდება, რომ დებიტორთან დაკავშირებით დაიწყება გაკოტრების, ან სხვა სახის ფინანსური რეორგანიზაციის პროცესი; ან
- ობიექტური ნიშნების არსებობა, რომლებიც იმაზე მიუთითებს, რომ შემცირდა ფინანსური აქტივების ჯგუფთან დაკავშირებული მომავალი ფულადი ნაკადები მათი საწყისი აღიარების შემდეგ, თუმცა ამგვარი შემცირების ოდენობის განსაზღვრა ჯგუფში შემავალი ცალკეული ფინანსური აქტივისთვის ჯერჯერობით შეუძლებელია. ამგვარ ნიშნებს განეკუთვნება, მაგალითად ქვეყნის ან რეგიონის არახელსაყრელი ეკონომიკური პირობები, ან დარგში მომხდარი არახელსაყრელი ცვლილებები.

გაუფასურების მაჩვენებელი შესაძლოა იყოს სხვა ფაქტორებიც, რაც აღწერილი არ არის ამ სააღრიცხვო პოლიტიკაში მაგრამ გულისხმობს კომპანიისთვის უარყოფითი ეფექტის მქონე მნიშვნელოვან ცვლილებებს ტექნოლოგიურ, საბაზრო, ეკონომიკურ ან სამართლებრივ გარემოში, სადაც კომპანია ეწევა საქმიანობას.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდობის რისკი არის იმის რისკი, რომ სუბიექტს გაუძნელდება ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულება, ლიკვიდობის რისკი ეხება ფინანსური ვალდებულებების უზრუნველსაყოფად საკმარისი სახსრების არსებობას, რომლებიც უკავშირდება ფინანსურ ინსტრუმენტებს მათი დაფარვის ვადის დადგომისას, ლიკვიდობის რისკი არსებობს მაშინ, როცა აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადები ერთმანეთს არ ემთხვევა.

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას აქვს უარყოფითი ლიკვიდურობის პოზიცია, რაც კომპანიის მენეჯმენტის განმარტებით წარმოადგენს საოპერაციო სფეროსთვის დამახასიათებელ მონაცემს და არ წარმოადგენს საფრთხეს კომპანიის ფუნქციონირებადობისთვის.

სავალუტო რისკი

უცხოური ვალუტის რისკი არის იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის მომავალი ფულადი ნაკადების რეალური ღირებულება შეიცვლება საკურსო სხვაობის განაკვეთების ცვლილებების გამო. კომპანიის განფენილობა საკურსო სხვაობის განაკვეთების ცვლილების რისკის მიმართ ძირითადად უკავშირდება აშშ დოლარში დენომინირებულ ფინანსურ ვალდებულებებს.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის ცვალებადობა ძირითადად აისახება სესხების რეალურ ღირებულებაზე (სესხი ფიქსირებული განაკვეთით) ან მათი მომავალი ფულადი სახსრების მოძრაობაზე (სესხი ცვალებადი განაკვეთით), ხელმძღვანელობას არ აქვს ოფიციალური პოლიტიკა განსაზღვროს კომპანიის რა ოდენობის განფენილობა უნდა იყოს ფიქსირებული ან ცვალებადი განაკვეთით. კომპანიის მოკლევადიანი სესხებისთვის საპროცენტო განაკვეთის რისკი არაარსებითია, თუმცა გრძელვადიანი სესხებისთვის კომპანია ცდილობს საპროცენტო განაკვეთის დაფიქსირებას.

(გ) კაპიტალის რისკის მართვა

კომპანია კაპიტალის მართვით აუმჯობესებს თავის უნარს გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და ამ გზით უზრუნველყოს აქციონერებისა და სხვა დაინტერესებული პირებისთვის შესაბამისი სარგებლის გადაცემა; ამავდროულად კაპიტალის მართვით კომპანია ინარჩუნებს კაპიტალის ოპტიმალურ სტრუქტურას, რითაც ამცირებს კაპიტალის ღირებულებას.

26. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარე არის პიროვნება ან საწარმო, დაკავშირებული იმ ორგანიზაციისთან, რომელიც ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებას (ზემოაღნიშნული საწარმო წინამდებარე სტანდარტში მოიხსენიება როგორც „ანგარიშვალდებული საწარმო“).

ა) პიროვნება ან მისი ახლო ნათესავი მიიჩნევა ანგარიშვალდებული ორგანიზაციისთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ:

(I) ეს პიროვნება აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ ორგანიზაციის; ან

(II) მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე; ან

(III) არის ანგარიშვალდებული ორგანიზაციის ან მისი სათავო ორგანიზაციის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი.

ბ) საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული ორგანიზაციისთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:

(I) ეს საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები (რაც იმას ნიშნავს, რომ სათავო საწარმო, შვილობილი საწარმო და იმავე სათავო ორგანიზაციის სხვა შვილობილი საწარმოები ერთმანეთთან არიან დაკავშირებულები);

(II) ერთ-ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საწარმო (ან იმ ჯგუფის რომელიმე წევრის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საწარმო, რომლის წევრიც არის მეორე საწარმო);

(III) ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე მხარის ერთობლივ ორგანიზაციის;

(IV) ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე მხარის ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე საწარმო იმავე მესამე მხარის მეკავშირე საწარმოა;

(V) ეს საწარმო არის ან ანგარიშვალდებული ორგანიზაციის, ან ანგარიშვალდებულ ორგანიზაციისთან დაკავშირებული რომელიმე მხარის დაქირავებულ მომუშავეთა შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოების პროგრამის განმახორციელებელი.

თუ ანგარიშვალდებული საწარმო თვითონ არის ამგვარი პროგრამის განმახორციელებელი, სპონსორი დაქირავებულებიც ანგარიშვალდებული ორგანიზაციისთვის დაკავშირებულ მხარეებად მიიჩნევა;

(VI) ამ ორგანიზაციის აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს (ა) პუნქტში მითითებული რომელიმე პიროვნება;

(VII) (ა) (ი) პუნქტში მითითებულ რომელიმე პიროვნებას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ საწარმოზე, ან ეს პიროვნება არის ზემოაღნიშნული ორგანიზაციის (ან მისი სათავო ორგანიზაციის) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი;

(VII) ეს საწარმო, ან იმავე ჯგუფში შემავალი სხვა საწარმო, რომელსაც მოცემული საწარმო განეკუთვნება, ანგარიშვალდებულ ორგანიზაციის, ან ანგარიშვალდებული ორგანიზაციის სათავო ორგანიზაციისთვის ასრულებს მმართველობით მომსახურებას.

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციები წარმოდგენილია ქვემოთ მოცემული ცხრილის სახით:

შპს „სუპერი“
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ქართულ ლარში

	2024 წელი	2023 წელი
ტრანზაქციები:		
მფლობელებთან:		
მომსახურების და პროდუქციის ყიდვა	-	-
პროდუქციის რეალიზაცია	-	-
სხვა დაკავშირებულ მხარეებთან:		
მომსახურების და პროდუქციის ყიდვა	1 344 972,00	1 295 304,00
პროდუქციის რეალიზაცია	-	-
მენეჯმენტის ანაზღაურება:		
ხელფასი/ბონუსი	524 591,00	

დაკავშირებულ მხარეებთან საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული ნაშთები წარმოდგენილია ქვემოთ მოცემული ცხრილის სახით:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ნაშთები:		
მფლობელებთან:		
მომსახურების და პროდუქციის ყიდვა	-	-
პროდუქციის რეალიზაცია	-	-
სხვა დაკავშირებულ მხარეებთან:		
მომსახურების და პროდუქციის ყიდვა	227 237,00-	187 330,00
მენეჯმენტის ანაზღაურება:		
ხელფასი/ბონუსი		

27. 2023 წლის ცვლილებები

		წინა	სხვაობა
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	31.12.2023	31.12.2023	
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
აქტივის გამოყენების უფლება	9 380 148		9 380 148
სულ გრძელვადიანი აქტივები	18 153 041	8 772 892	9 380 149
მოკლევადიანი სავაჭრო მოთხოვნები	1 360 361	1 403 076	(42 715)
მოთხოვნები ბანკებთან ტერმინალებიდან	-	1 437 310	(1 437 310)
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	2 817 238	1 379 928	1 437 310
სულ მიმდინარე აქტივები	30 282 089	30 324 804	(42 715)
გადავადებული საგადასახადო აქტივი	-		
სულ აქტივები	48 435 129	39 097 696	9 337 433
გადაფასების რეზერვები	-	(42 715)	42 715
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	(21 631 904)	(15 974 274)	(5 657 630)
საანგარიშო წლის მოგება-ზარალი	-	(6 954 848)	6 954 848
სულ საკუთარი კაპიტალი	(21 633 904)	(22 973 837)	1 339 933
საიჯარო ვალდებულებები-გრძელვადიანი	(7 205 786)		(7 205 786)

შპს „სუპერი“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ქართულ ლარში

სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	(11 653 360)	(4 447 574)	(7 205 786)
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები	(3 838 217)	(3 271 085)	(567 132)
საიჯარო ვალდებულებები-მოკლევადიანი	(3 471 581)		(3 471 581)
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები (დივიდენდი)	-	(567 132)	567 132
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	(15 008 466)	(11 676 284)	(3 471 581)
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	(48 435 129)	(39 097 695)	(9 337 434)

2023 წელს კომპანიამ გააკეთა ცვლილება იჯარის კონტრაქტების აღრიცხვაში. წინა წლებში იჯარის ხელშეკრულებები აღირიცხებოდა როგორც საოპერაციო იჯარა. თუმცა, IFRS სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად (IFRS 16 – „იჯარა“), აღნიშნული კონტრაქტები კლასიფიცირებულია როგორც ფინანსური იჯარა, ვინაიდან იჯარის პირობები არსებითად ანიჭებს კომპანიას კონტრაქტის საგნის გამოყენების კონტროლს და დაკავშირებულ სარგებელს იჯარის ვადის განმავლობაში.

კლასიფიკაციის შეცვლამ გამოიწვია იჯარის ობიექტის აღრიცხვა როგორც „აქტივი გამოყენების უფლებით“ (Right-of-Use Asset) და პარალელურად შესაბამისი საიჯარო ვალდებულების ასახვა. აქტივი გამოყენების უფლებით აღირიცხა საწყისად დისკონტირებული მომავალში გადასახდელი იჯარის გადასახადების ღირებულებით, ხოლო საიჯარო ვალდებულება დაფასდა იმავე ოდენობით.

ეს ცვლილება ასახულია 2023 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში და უზრუნველყოფს ანგარიშგების შესაბამისობას IFRS სტანდარტთან, რაც ზრდის ფინანსური ინფორმაციის სიზუსტესა და გამჭვირვალობას.

		წინა	სხვაობა
მოგებისა და ზარალის ანგარიშგება	31.12.2023	31.12.2023	
საერთო მოგება	27 162 138	27 162 137	1
ზოგადი და ადმინისტრაციული დანახარჯები	(13 427 592)	(9 468 950)	(3 958 642)
კომერციული ხარჯები	(4 005 721)	(9 399 240)	5 393 519
სხვა ხარჯები	-	(492 916)	492 916
გადასახადები (ქონება, მიწა)	-	(82 543)	82 543
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან	11 303 173	9 292 836	2 010 337
არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯები), წმინდა	(1 169 717)	(284 441)	(885 276)
ფინანსური შემოსავალი	-	(1 885 156)	1 885 156
ფინანსური ხარჯი	(2 982 711)		(2 982 711)
მოგება დაბეგვრამდე	7 150 745	7 123 239	27 506
მოგების გადასახადი	(208 220)	(125 677)	(82 543)
პერიოდის მოგება	(208 220)	(42 715)	(165 505)
სხვა სრული შემოსავალი:		(352 711)	352 711
	-	(521 103)	521 103

პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი	6 942 526	6 954 847	(12 321)
-----------------------------------	-----------	-----------	----------

იჯარის ხელშეკრულებების კლასიფიკაციის ცვლილებამ 2023 წლის მოგება-ზარალის ანგარიშზეც მოახდინა გავლენა. წარსულ პერიოდში იჯარის გადასახადები სრულად ასახული იყო როგორც საოპერაციო ხარჯი. IFRS 16-ის მოთხოვნების შესაბამისად, აღნიშნული ხარჯი ჩანაცვლდა შემდეგი კომპონენტებით:

ცვეთის ხარჯი (Depreciation expense): აღირიცხა აქტივის გამოყენების უფლების ცვეთა, რაც თანდათანობით ამცირებს აქტივის ბალანსურ ღირებულებას.

ფინანსური ხარჯი (Finance cost): ასახული იქნა საიჯარო ვალდებულებაზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი.

შესაბამისად, 2023 წელს საოპერაციო ხარჯების შემცირება დაფიქსირდა, ვინაიდან იჯარის გადასახადები აღარ ირიცხება როგორც სრული საოპერაციო ხარჯი. ამავდროულად გაიზარდა ცვეთისა და ფინანსური ხარჯების მოცულობა.

მოცემული ცვლილება იწვევს EBITDA-ს (მოგება საპროცენტო, საგადასახადო, ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯების გამოკლებით) გაუმჯობესებას, თუმცა წმინდა მოგებაზე ზეგავლენა დამოკიდებულია დარიცხული ცვეთისა და საპროცენტო ხარჯის ჯამზე, რომელიც შესაძლოა აღემატებოდეს წინა წლებში აღიარებულ საოპერაციო იჯარის ხარჯს.

აღნიშნული ცვლილება სრულ შესაბამისობაშია IFRS 16-ის მოთხოვნებთან და ასახავს კომპანიის ფინანსური მდგომარეობისა და საქმიანობის შედეგების უფრო რეალურ სურათს.

2023 წელს კომპანიამ ასევე განახორციელა ხარჯების სტრუქტურის გადახედვა. შედეგად, ზოგიერთმა ხარჯის კატეგორიამ განიცადა რეკლასიფიკაცია:

კომერციული ხარჯები შემცირდა, ვინაიდან ხარჯების ნაწილი, რომელიც თავისი ეკონომიკური შინაარსით უფრო შეესაბამებოდა ზოგად და ადმინისტრაციულ ხარჯებს, შესაბამის კატეგორიაში გადაიტანეს.

რეკლასიფიკაცია განხორციელდა იმისათვის, რომ ხარჯების კლასიფიკაცია უკეთ ასახავდეს მათი წარმოშობის ბუნებას და ემყარებოდეს IFRS -ის პრინციპებს „მნიშვნელოვნებისა“ და „შინაარსის პრიმატის“ გათვალისწინებით.

აღნიშნული ცვლილება არ ახდენს გავლენას კომპანიის წმინდა ფინანსურ შედეგებზე, თუმცა აუმჯობესებს ხარჯების პრეზენტაციასა და სიზუსტეს, რაც ზრდის ანგარიშგების გამჭვირვალობას და მომხმარებლისთვის ინფორმაციის სარგებელს.

28. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მომხდარი მოვლენები

ფინანსური ანგარიშგება, მომზადებული 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2025 წლის 8 ოქტომბერს

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დასკვნის გამოშვებამდე კომპანიამ გრძელვადიან სესხზე დამატებით მოახდინა

5 მილიონი ლარის ათვისება. სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები, რომლებიც შესაძლოა ასახულიყო ფინანსურ ანგარიშგებაში, არ დაფიქსირებულა.

31 დეკემბერი 2024 წ
წარმოგიდგენთ შპს სუპერის წლიურ ანგარიშს

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
მმართველობის ანგარიშგება.....	2
საქმიანობის მიმოხილვა.....	3
კორპორაციული მართვის ანგარიშგება.....	6
არაფინანსური ანგარიშგება	8

მმართველობის ანგარიშგება

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი, აერთიანებს კომპანიასთან დაკავშირებულ ისეთ არსებით კომპონენტებს, როგორიცაა საქმიანობის შინაარსი, მომსახურების სტანდარტები და საორიენტაციო ღირებულებები; მოიცავს კომპანიის, როგორც განვლილ მიღწევებს, ისე მომავალში დასახულ მიზნებსა და რაც ყველაზე მთავარია ფაქტობრივ მაჩვენებლებს კომპანიის განვითარების პოტენციალისა. ამასთან, გიზიარებთ ანალიტიკურ ინფორმაციას იმ ბიზნეს რისკების შესახებ, რომლებიც ქმნიან უმნიშვნელო თუ სერიოზულ წინაღობებს საქმიანობისათვის.

აღნიშნული დოკუმენტში ასახულია ჩვენი ხედვა, სამომავლო გეგმები და კომპანიაში დამკვიდრებული კორპორაციული ეთიკის სტანდარტები.

წარდგინება დირექტორისაგან

მოხარული ვარ წარმოგიდგინოთ შპს „სუპერი“-ს მმართველობის ანგარიშგება. ანგარიშგების მიზანია თვალსაჩინო გაეზადოთ კომპანიის საქმიანობის სპექტრი და ჩვენი მოწოდება გავზარდოთ არსებული ბიზნესი, ხარისხისა და ეფექტურობის პარალელურად. ჩვენი რესურსები ორიენტირებულია ინოვაციების დამკვიდრებაზე, ხარჯების ეფექტურობასა და უსაფრთხოებაზე. ვამაყობ, რომ „სუპერ“-ში გვაქვს კარგად ჩამოყალიბებული მისია, მაღალ ღირებულებებზე დამყარებული ხედვა და სოციალური პასუხისმგებლობის გრძნობა. მაღლობას გიხდით გამოჩენილი ინტერესისათვის, ჩვენ მზად ვართ შევეჭიდოთ ნებისმიერ გამოწვევას, რათა მოვიპოვოთ ნდობა და პატივისცემა ჩვენი მომხმარებლების, პარტნიორებისა და დასაქმებულებისაგან.

შპს „სუპერი“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ქართულ ლარში

საქმიანობის მიმოხილვა

კომპანიის შესახებ

შპს „სუპერი“ შეიქმნა 2005 წლის 24 იანვარს და მას შემდეგ წარმატებით ახორციელებს საცალო ვაჭრობას როგორც საოჯახო, საყოფაცხოვრებო ნივთებით, ასევე სათამაშოებით.

დამფუძნებლები 2005-2010 წლებში იყვნენ:

01008002602, ივანე ხაზარაძე წილის 57% და ერეკლე ქიქოძე წილის 43%.

დამფუძნებლები 2010 წლიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით იყვნენ:

01008002602, ივანე ხაზარაძე 51%

01005001283, მაია გიორგობიანი 7.4%

01652001017, ნინო ქიქოძე 7.4%

01017025450, გიორგი ქიქოძე 7.4%

01017013038, გიორგი ქიქოძე 7.4%

01030046186, ეთერ ბუაჩიძე 7.4%

BY2BDKFD1, 128458938, მორის რუთხრინგი, ნიდერლანდები 12%

დამფუძნებლები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყვნენ:

01008002602, ივანე ხაზარაძე 51%

01005001283, მაია გიორგობიანი 7.4%

01652001017, ნინო ქიქოძე 8%

01017025450, გიორგი ქიქოძე 8%

01030046186, ეთერ ბუაჩიძე 13.6%

BY2BDKFD1, 128458938, მორის რუთხრინგი, ნიდერლანდები 12%

შპს „სუპერი“
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ქართულ ლარში

კომპანიის საქმიანობა- საყოფაცხოვრებო ნივთებითა და სათამაშოებით ვაჭრობა;

2014 წელს ქსელი შედგებოდა 14 მაღაზიისგან;

2015 წელს ქსელი შედგებოდა 21 მაღაზიისგან;

2016 წლიდან 2020 წლამდე ქსელი შედგება 26 მაღაზიისგან;

2024 წლის დეკემბრის მდგომარეობით ქსელი შედგება 12 მაღაზიისგან და მათ შორის ონლაინმაღაზიისგან.

იმპორტიორი ქვეყნებია:

საფრანგეთი, იტალია, ესპანეთი, ნიდერლანდები, დიდი ბრიტანეთი, ბელგია, თურქეთი, გერმანია, დანია,
პოლონეთი, ჩინეთი.

ექსლუზიური მომწოდებლები:

არკ ინტერნეიშენალ (ლუმინარკი);

ბორმიოლი;

ბრაბანტია;

ცვილინგი;

თვს;

რას ვსაქმიანობთ

შპს „სუპერს“ აქვს მაღაზიათა ქსელი და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფუნქციონირებს 12 მაღაზია და მათ შორის ინტერნეტმაღაზია საქართველოს მასშტაბით, აქედან ქ.თბილისში მდებარეობს 5 ფილიალი, ქ.გორში 1 ფილიალი, ქ.ქუთაისში 1 ფილიალი, ქ.ბათუმში 3 ფილიალი და ქ.რუსთავში 1 ფილიალი და 1 ონლაინ მაღაზია. ბოლო პერიოდში გახსნილი მაღაზიები არის სპეციალიზირებული საოჯახოს ან სათამაშოს კუთხით, მომხმარებელს შეუძლია შეიძინოს „სუპერის“ მაღაზიათა ქსელში სათამაშოები, თამაშობები, საოჯახო და საყოფაცხოვრებო ნივთები, სამზარეულოს საკუთნოები, რომელთა ფართო არჩევანია წარმოდგენილი, ასევე შეუძლია შეიძინოს წინა საახალწლოდ მრავალფეროვანი საახალწლო ნივთები და ნაძვის ხეები, ასევე ფილიალებში იყიდება სხვადასხვა ნომინალური ღირებულების სასაჩუქრე ბარათები. პროდუქციის შეძენისას მომხმარებელს შეუძლია საფასური გადაიხადოს როგორც ნაღდი ანგარიშსწორებით, ასევე პლასტიკური ბარათით, გადარიცხვით ან/და სასაჩუქრე ბარათის საშუალებით. კომპანია ორიენტირებულია მომხმარებელს შეუქმნას კომფორტული გარემო, შესთავაზოს პროდუქციის ფართო არჩევანი, შეარჩევინოს სასურველი ნივთი და მოემსახუროს საღაროსთან და შესაფუთ მაგიდასთან სწრაფად და ხარისხიანად.

სამომავლო გეგმები

შპს „სუპერი“ 2005 წლიდან აქტიურად ზრდის ფილიალების რაოდენობას, სამომავლოდ კი დაგეგმილია მაღაზიათა ქსელის გაზრდა მთელი საქართველოს მასშტაბით, ასევე ვმუშაობთ ინტერნეტ მაღაზიის განვითარებაზე, ვსწავლობთ მასთან დაკავშირებულ საკითხებსა და რისკფაქტორებს. ინტერნეტ-მაღაზიის პლატფორმის დანერგვისა და გამოყენების საშუალებით კომპანიამ 2020 წელს შეძლო მინიმუმამდე დაეყვანა კოვიდპანდემიის გამო გამოცხადებული ლოკდაუნების გამო რეალიზაციის მაჩვენებლის შემცირება. კომპანია აქტიურად მუშაობს ონლაინმაღაზიის განვითარებაზე.

ინფორმაციული უსაფრთხოება

21-ე საუკუნეში ყველა ბიზნესისათვის მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენს მომატებული კიბერ შეტევები და „ფიშინგის“ მცდელობები. დამნაშავეთა პრიორიტეტულ სამიზნეს წარმოადგენს საფინანსო სექტორი, შესაბამისად კომპანია არ ივიწყებს მოსალოდნელ თავდასხმის მცდელობებს და ინფორმაციული უსაფრთხოების უმაღლეს სტანდარტებს აწესებს კომპანიის მასშტაბით. დაცვის მექანიზმები მოიცავს უახლეს და ცნობილ პროდუქტებს, რომელთა საშუალებით ხდება, როგორც შიდა ქსელის დაცვა გარე ზემოქმედებისგან, ისე სენსიტიური ინფორმაციის გაჟონვა ქსელის შიგნით. არსებული მოწყობილობების მონიტორინგისათვის გამოიყენება შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფები, რომლის მეშვეობით კონტროლდება ყოველი მოვლენა, რაც ხდება კომპანიისათვის მნიშვნელოვან მოწყობილობებზე და მომხმარებლების პერსონალურ კომპიუტერებზე. ამასთან, ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით ხშირად ტარდება თანამშრომელთა ცნობიერების ასამაღლებელი ტრენინგები, ამას გარდა ყველა თანამშრომელი უზრუნველყოფილია მკაცრად გაწერილი ინსტრუქციებით, როგორ მოიქცეს ნებისმიერ საეჭვო სიტუაციაში. აღსანიშნავია, რომ 2014 წლის შემდეგ მასშტაბური კიბერ შეტევების მიუხედავად შპს „სუპერს“ არც ერთხელ არ შეხებია მავნე ვირუსი, რომელიც კომპანიის კონფიდენციალური ინფორმაციის დაზიანებას ან გაჟონვას გამოიწვევდა.

კორპორაციული მართვის ანგარიშგება

კომპანიის სტრუქტურა მაქსიმალურადაა მორგებული ბიზნეს საქმიანობის გამარტივებასა და ეფექტურობაზე, სტრუქტურის თავში გვევლინება დირექტორი ივანე ხაზარაძე. ნებისმიერი სამსახურისათვის ცალკეულად ყალიბდება პროცედურული დოკუმენტაცია, რომელიც შემდგომ იყოფა თითოეული თანამდებობისათვის მიკუთვნებული ფუნქცია-მოვალეობებისათვის დამახასიათებელი პროცედურის აღწერილობით. ჩვენი სტრუქტურის ჩამოყალიბებისა და განახლებების პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება უფლება-მოვალეობების ზუსტ გამიჯვნასა და პროცედურული ინსტრუქციების ნათლად გამოსახვას, რათა მოხდეს შესასრულებელი სამუშაოს სრულად დაფარვა, ისე, რომ ეფექტურად იქნეს გამოყენებული ადამიანური თუ მატერიალური რესურსი.

კომპანიის პოლიტიკები

საერთაშორისო რეგულაციებისა და საუკეთესო პრაქტიკის მიხედვით შექმნილი კორპორაციული მართვის პრინციპების დანერგვისათვის, კომპანიაში შექმნილია პოლიტიკები, რომლებიც განსაზღვრავენ თანამშრომელთა მოქცევისა და ყოველგვარ დარღვევაზე ადეკვატური რეაგირების წესებს. პოლიტიკებს შორის განსაკუთრებული მნიშვნელობით გამოირჩევა:

ინტერესთა კონფლიქტის მართვის პოლიტიკა

პოლიტიკის მიზანია განსაზღვროს არსებული, პოტენციური და შესაძლო ინტერესთა კონფლიქტის ფაქტების განსაზღვრის, მართვისა და აღკვეთის წესები. განმარტოს ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებული თემები და დაეხმაროს თანამშრომლებს მათ პრევენციასა და ადეკვატურ რეაგირებაში. კერძოდ: განსაზღვროს ის სიტუაციები, სადაც შესაძლებელია წარმოიშვას ინტერესთა კონფლიქტი; ჩამოაყალიბოს ინტერესთა კონფლიქტის აღმოჩენის, პრევენციისა და მართვის პროცედურები, მექანიზმები და სისტემები; დაიცვას კომპანიის, მისი მომხმარებლების, თანამშრომლების, ინვესტორებისა და მომწოდებლების ინტერესები, კონფლიქტის აღმომგზვრელი შესაბამისი ზომების შემუშავებით; ინტერესთა კონფლიქტის პრევენციის მიზნით დაწესებული შეზღუდვები/აკრძალვები: საქმიანობა დამსაქმებელი კომპანიის გარეთ; ნათესაური კავშირები დაქვემდებარებულ თანამშრომელთა შორის; აზარტული თამაშებისადმი დამოკიდებულება; ნარკოდამოკიდებულებას პერსონალური ტრანზაქციები.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა

დოკუმენტის მიზანია პერსონალური მონაცემების შესახებ საქართველოს კანონისა და საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, საჭირო პროცესების და რეგულაციების დანერგვა და აღწერა. ამ კუთხით თანამშრომელთათვის აუცილებელი შეზღუდვების დაწესება და ამავდროულად მათი პერსონალური მონაცემთა დაცვა უკანონო და არამიზნობრივი გამოყენებისაგან.

ინფორმაციის კლასიფიკაციისა და მართვის პოლიტიკა

ინფორმაციული რესურსების გამოყენებაზე პრევენციული და დეტექტიური კონტროლის გაუმჯობესების მიზნით, საჭიროა ინფორმაციის არქიტექტურული ინფრასტრუქტურის შექმნა, რომელიც გულისხმობს რისკების შეფასებაზე დაფუძნებული მიდგომით ინფორმაციის კლასიფიცირებას, შესაბამისი პასუხისმგებელი პირების განსაზღვრას, ინფორმაციისა და ინფორმაციული რესურსების დახარისხებას კონფიდენციალურობის დონის მიხედვით, წვდომისა და გამოყენების სხვა წესების შემუშავებას. აღნიშნული პოლიტიკის თანახმად, ინფორმაცია იყოფა კონფიდენციალურობის ოთხ კატეგორიად, ესენია -

„საჯარო“, „შიდა მოხმარების“, „კონფიდენციალური“ და „სრულიად საიდუმლო“. ინფორმაციის მართვა რეგულირდება, აღნიშნული დონეების მიხედვით და მოიცავს ინფორმაციის მარკირების, გადაადგილების, წვდომის მინიჭების, შენახვისა და განადგურების წესებს.

შეტყობინების მართვის პოლიტიკა

პოლიტიკის მიზანია, ხელი შეუწყოს დამსაქმებელ კომპანიაში ისეთი გარემოს ჩამოყალიბებას, სადაც ოპერატიულად იქნება გამოვლენილი და აღკვეთილი ნებისმიერი შეუსაბამობა თუ დარღვევა. სწორედ კომპანიაში დასაქმებული ადამიანები არიან თვითმხილველნი მათ ირგვლივ არსებული დარღვევებისა. პოლიტიკის თანახმად, დამსაქმებელი კომპანია უზრუნველყოფს განმცხადებელი პირის ანონიმურობას, მისი განცხადება განიხილება სრული პასუხისმგებლობით და კონფიდენციალურობის მკაცრი დაცვით.

აქციონერთა და აქციონერთა საერთო კრების უფლებებისა და მათი განხორციელების წესების მიმოხილვა

კომპანიის წილების მფლობელების-პარტნიორთა უფლება-მოვალეობანი მოწესრიგებულია კომპანიის წესდებით, რომელიც წარმოადგენს საჯაროდ გამოქვეყნებულ დოკუმენტს. პარტნიორთა კრება კომპანიის უმაღლესი მმართველობითი ორგანოა, პარტნიორი უფლებამოსილია მართოს კომპანია, როგორც უშუალოდ, ისე წარმომადგენლის საშუალებით. რიგითი პარტნიორთა კრება იმართება წელიწადში ერთხელ, სამეურნეო წლის დამთავრებიდან ორი თვის ვადაში. დამატებითი დეტალები მმართველობითი უფლებამოსილების მქონე ორგანოს შესახებ მოცემულია კომპანიის წესდებაში.

არაფინანსური ანგარიშგება

ჩვენი გუნდი

შპს „სუპერში“ დასაქმებულია დაახლოებით 330-მდე თანამშრომელი. უამრავი კანდიდატიდან, კომპანია არჩევანს აკეთებს ყველაზე მოტივირებული და მონდომებული პირების სასარგებლოდ. კომპანიის საქმიანობის წარმატებულად წარმართვაში არსებით როლს ასრულებს ადამიანური რესურსი, ამიტომ ვცდილობთ შევქმნათ ოპტიმალური პირობები ეფექტური შრომისა და კარიერული განვითარებისათვის. თანამშრომელზე ორიენტირებული მიდგომის საბაზისო საყრდენი სამართლიანობაა, რომელთა გამოვლენას კომპანია ცდილობს ადეკვატური ანაზღაურების, დამატებითი ბონუსების გაცემითა და დივერსიფიკაციის პატივისცემით, რომელიც აუცილებლად ახასიათებს ადამიანთა ნებისმიერ ფართო წრეს. კომპანია იზიარებს და იღებს მის წილ პასუხისმგებლობას დასაქმებულების წინაშე, თუმცა სანაცვლოდ მათგანაც მოითხოვს კეთილსინდისიერ და გონივრულ დამოკიდებულებას საქმის მიმართ, რაზეც ნათლად მიუთითებს კომპანიის შრომის შინაგანაწესი და ეთიკის კოდექსი.

ჯანსაღი გარემო შრომისათვის

აღსანიშნავია, რომ საქმიანობის დაწყებიდან დღემდე შპს „სუპერის“ მიმართ არასოდეს აღძრულა საქმე შრომით დავებთან დაკავშირებით. კომპანია აცნობიერებს, რომ თანამშრომლები კომპანიის წარმატების საწინდარია, ამიტომ ცდილობს განურჩევლად ყველას შეუქმნას თანაბარი შესაძლებლობები განვითარებისათვის. აღსანიშნავია, რომ კომპანია მკაცრად იცავს თანამშრომლებისა და მომხმარებლების პერსონალურ მონაცემებს, რისკების ადეკვატური დაცვის მექანიზმები პერიოდული გადახედვისა და განახლების საგანია.

ჯანმრთელობა და უსაფრთხოება სამუშაო ადგილზე

კანონმდებლობა ადგენს უსაფრთხოების მინიმალურ სტანდარტებს, „სუპერი“ ცდილობს საერთაშორისოდ აღიარებული საუკეთესო პრაქტიკა გაითავისოს და შეუქმნას თანამშრომლებს შრომისთვის უსაფრთხო და ჯანსაღი გარემო. შექმნილია ბიზნესის უწყვეტობის მართვის პოლიტიკა და გამოყოფილია საკვანძო თანამშრომელთა ჯგუფი, რომელიც პასუხისმგებელია კრიზისული სიტუაციის მართვაზე.

კორუფციასთან ბრძოლა

კომპანიის ფარგლებში დაუშვებელია კორუფცია და ქრთამის აღება/მიცემა, მიუხედავად მისი ოდენობისა და გამოხატვის ფორმისა. კომპანია მკაცრად აფასებს ნებისმიერ ქმედებასა თუ ტრანზაქციას, რომელიც შეიძლება აღქმული იქნეს, როგორც არამართლზომიერი გავლენა კომპანიისკენ მიმართულ გადაწყვეტილებებზე. ამ სფეროს დასარეგულირებლად „სუპერი“ იყენებს, საკმაოდ ვრცელ პოლიტიკას „ინტერესთა კონფლიქტის მართვის თაობაზე“, ხოლო კონკრეტულად განსაზღვრული სტრუქტურული ერთეული ახორციელებს კონტროლს, რათა ნებისმიერი თანამშრომელი და კომპანიის მიერ თუ კომპანიაში განხორციელებული ქმედება იყოს შესაბამისობაში ამ პოლიტიკასთან.

ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე პასუხისმგებელი პირები

მმართველობითი ანგარიშგების წარდგენაზე პასუხისმგებელია კომპანიის მართვაზე უფლებამოსილი პირი

- დირექტორი ივანე ხაზარაძე.

დირექტორის მინდობილი პირი

შპს „სუპერი“
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ქართულ ლარში

ინდივიდუალური მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

მოგებისა და ზარალის ანგარიშგება	Note	პერიოდული	
		31.12.2024	31.12.2023
ამონაგები	3	65 106 313	61 005 236
გახარჯული მასალების თვითღირებულება	4	(37 191 047)	(33 843 099)
საერთო მოგება		27 915 266	27 162 138
სხვა შემოსავალი		2 343 398	1 574 348
ზოგადი და ადმინისტრაციული დანახარჯები	5	(14 647 098)	(13 427 592)
კომერციული ხარჯები	6	(4 673 743)	(4 005 721)
სხვა ხარჯები		-	-
გადასახადები (ქონება, მიწა)		-	-
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან		10 937 823	11 303 173
არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯები), წმინდა	8	(786 065)	(1 169 717)
ფინანსური შემოსავალი		-	-
ფინანსური ხარჯი	7	(3 177 229)	(2 982 711)
მოგება დაბეგვრამდე		6 974 528	7 150 745
მოგების გადასახადი		(165 382)	(208 220)
პერიოდის მოგება		(165 382)	(208 220)
სხვა სრული შემოსავალი:		-	-
პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი		6 809 146	6 942 526

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება, მომზადებული 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2025 წლის 8 ოქტომბერს

დირექტორის მინდობილი პირი

მაია კუნდუხაშვილი



საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება, მომზადებული 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2025 წლის 8 ოქტომბერს

მაია კუნდუხაშვილი



შპს „სუპერი“
 ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ქართულ ლარში

ინდივიდუალური მფლობელთა კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2023 წლის 1 იანვარი	(2 000)	-	(15 963 951)	(15 965 951)
მოგება წლის ბოლოს			(6 942 526)	(6 942 526)
სხვა სრული შემოსავალი		-		-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	(6 942 526)	(6 942 526)
სხვა			1 274 573	1 274 573
2023 წლის 31 დეკემბერი	(2 000)	-	(21 631 904)	(21 633 904)
მოგება წლის ბოლოს			(6 809 146)	(6 809 146)
სხვა სრული შემოსავალი		-		-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	(6 809 146)	(6 809 146)
სხვა			3 207 651	3 207 651
გადაფასებებს რეზერვი	-	-	-	-
2024 წლის 31 დეკემბერი	(2 000)	-	(25 233 399)	(25 235 399)

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება, მომზადებული 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2025 წლის 8 ოქტომბერს

დირექტორის მინდობილი პირი

მაია კუნდუხაშვილი



საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება, მომზადებული 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2025 წლის 8 ოქტომბერს

მაია კუნდუხაშვილი



შპს „სუპერი“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ქართულ ლარში

ჯანსაღი გარემო შრომისათვის

აღსანიშნავია, რომ საქმიანობის დაწყებიდან დღემდე შპს „სუპერი“ მიმართ არასოდეს აღძრულა საქმე შრომით დავებთან დაკავშირებით. კომპანია აცნობიერებს, რომ თანამშრომლები კომპანიის წარმატების საწინდარია, ამიტომ ცდილობს განურჩევლად ყველას შეუქმნას თანაბარი შესაძლებლობები განვითარებისათვის. აღსანიშნავია, რომ კომპანია მკაცრად იცავს თანამშრომლებისა და მომხმარებლების პერსონალურ მონაცემებს, რისკების ადეკვატური დაცვის მექანიზმები პერიოდული გადახედვისა და განახლების საგანია.

ჯანმრთელობა და უსაფრთხოება სამუშაო ადგილზე

კანონმდებლობა ადგენს უსაფრთხოების მინიმალურ სტანდარტებს, „სუპერი“ ცდილობს საერთაშორისოდ აღიარებული საუკეთესო პრაქტიკა გაითავისოს და შეუქმნას თანამშრომლებს შრომისთვის უსაფრთხო და ჯანსაღი გარემო. შექმნილია ბიზნესის უწყვეტობის მართვის პოლიტიკა და გამოყოფილია საკვანძო თანამშრომელთა ჯგუფი, რომელიც პასუხისმგებელია კრიზისული სიტუაციის მართვაზე.

კორუფციასთან ბრძოლა

კომპანიის ფარგლებში დაუშვებელია კორუფცია და ქრთამის აღება/მიცემა, მიუხედავად მისი ოდენობისა და გამოხატვის ფორმისა. კომპანია მკაცრად აფასებს ნებისმიერ ქმედებასა თუ ტრანზაქციას, რომელიც შეიძლება აღქმული იქნეს, როგორც არამართლზომიერი გავლენა კომპანიისკენ მიმართულ გადაწყვეტილებებზე. ამ სფეროს დასარეგულირებლად „სუპერი“ იყენებს, საკმაოდ ვრცელ პოლიტიკას „ინტერესთა კონფლიქტის მართვის თაობაზე“, ხოლო კონკრეტულად განსაზღვრული სტრუქტურული ერთეული ახორციელებს კონტროლს, რათა ნებისმიერი თანამშრომელი და კომპანიის მიერ თუ კომპანიაში განხორციელებული ქმედება იყოს შესაბამისობაში ამ პოლიტიკასთან.


ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე პასუხისმგებელი პირები

მმართველობითი ანგარიშგების წარდგენაზე პასუხისმგებელია კომპანიის მართვაზე უფლებამოსილი პირი

- დირექტორი ივანე ხაზარაძე.

დირექტორის მინდობილი პირი

მაია კუნდუხაშვილი



შპს „სუპერი“
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ქართულ ლარში

მოსაზრება “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნებთან
აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, თანხვედრაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით; და
- მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემულ აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

შპს „ანდრე აუდიტი“
სარეგისტრაციო ნომერი SARAS-F-934401

ზაზა მჭედლიშვილი
სარეგ. ნომერი SARAS-A-863342



თბილისი, საქართველო
08 ოქტომბერი 2025